ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №105

2011 წლის 26 აგვისტო
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეზე ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ევროკავშირს შორის გრანტის აღების ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტისა და 33-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს (ნ. ბერაძე) მიენიჭოს უფლებამოსილება თვითმმართველი ერთეულის სახელით ხელი მოაწეროს ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ევროკავშირს შორის „მუნიციპალური მომსახურების ხარისხის ამაღლება ქობულეთის მუნიციპალიტეტში” საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად გრანტის აღების ხელშეკრულებას. (ხელშეკრულება №271-273).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე